მიმართებითი ონტოლოგია:

სუბსტანცია და მიმართება

ერთი ღმერთის სამებაში

მათე სარალიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე რელიგიის კვლევების მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: რელიგიის კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ გრძელიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერებთა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს, ქალბატონ ნინო

მატარაძეს ამავე ფაკულტეტის

რელიგიის კვლევების მაგისტრანტის

მათე სარალიშვილის

განაცხადი

ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მათე სარალიშვილი

2024

აბსტრაქტი

თანამედროვე ფილოსოფიური და თეოლოგიური ლიტერატურა განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს სუბსტანციისა და მიმართების ონტოლოგიური სტატუსის გამოკვლევის მიმართ. მეოცე საუკუნის ფენომენოლოგიური სკოლის წიაღში, ერთი მხრივ, ინტენციონალობისა და, მეორე მხრივ, მიმართების მნიშვნელობის წინ წამოწევამ როგორც ფენომენოლოგიურ და ეპისტემოლოგიურ, ასევე ონტოლოგიურ კვლევებში ხელი შეუწყო ქრისტიანი ღვთისმეტყველების იმ ტექსტებთან მიბრუნებას, რომლებიც სამების, როგორც ერთი სუბსტანციისა და სამი ჰიპოსტასის, გააზრებას ფილოსოფიურად ცდილობდნენ. წინამდებარე კვლევა ეხება, ერთი მხრივ, სამი კაბადოკიელი მამის სახელით ცნობილ ღვთისმეტყველებს: ბასილი დიდს, გრიგოლ ნოსელსა და გრიგოლ ღვთისმეტყველს, ხოლო, მეორე მხრივ, მაქსიმე აღმსარებელს. ისინი ერთ ღმერთში ხედავდნენ სამი პიროვნების ურთიერთობას, სამ მყოფობის გვარს, რომელიც არ გამორიცხავდა არსობრივ სიმარტივეს, ე. ი. პიროვნულ სხვადყოფნაში არსობრივ თანაზიარებას. ერთარსი ღმერთის სამების შესახებ ფილოსოფიური მსჯელობა სწორედ *მიმართების* ონტოლოგიური სტატუსის გადააზრებაზე მიუთითებს.

კაბადოკიელი მამებისა და მაქსიმე აღმსარებელის წერილების, ქადაგებებისა და ტრაქტატების დამუშავება ნათელს ჰფენს, მათი შეხედულებები თანამედროვე ფილოსოფიურ და თეოლოგიურ ლიტერატურაში არსებული სუბსტანციისა და მიმართების პრობლემის მიზეზად გვევლინებიან თუ მისი გადაჭრის შესაძლებლობად.

Abstract

Contemporary philosophical and theological literature is particularly interested in investigating the ontological status of substance and relation. In the twentieth-century school of phenomenology, the advancement of the significance of intentionality on the one hand and of relation on the other in both phenomenological and epistemological as well as ontological studies contributed to the return to those texts of Christian theologians that philosophically sought to understand the Trinity as one substance and three hypostases. The present study deals, on the one hand, with three theologians known as Cappadocian Fathers: Basil the Great, Gregory of Nyssa, and Gregory of Nazianzus (the Theologian), and on the other hand, with Maximus the Confessor. In one God they saw the relationship of three persons, three modes of being, which did not exclude essential simplicity, i.e., the essential communion in personal otherness. Philosophical reasoning about the consubstantial triune God points to the rethinking and reshaping of the ontological status of *relation*.

The treatment of their letters, sermons and treatises sheds light on whether they appear to us as the cause of the problem of substance and relation existing in modern philosophical and theological literature or as an opportunity to solve it.